

სატენდერო განცხადება

საქართველოს სახელმწიფო წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს სახით, “ნავთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონის და “ნავთობისა და გაზის ოპერაციების მარეგულირებელი ეროვნული წესების” თანახმად, 2017 წლის 3 აპრილს აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს საქართველოს V, VI^A, VI^B, VI^C, VII^A, XI^F, XIII^A, და XIV სალიცენზიო ბლოკებზე ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად.

სალიცენზიო ბლოკების ადგილმდებარეობა მოცემულია თანდართულ რუკაზე.

სალიცენზიო ბლოკი	V	VI ^A	VI ^B	VI ^C	VII ^A	XI ^F	XIII ^A	XIV
ბლოკის ფართობი (კვ.კმ)	5043 კმ ²	3291 კმ ²	3005 კმ ²	93 კმ ²	6010 კმ ²	37.63 კმ ²	1320 კმ ²	4410 კმ ²
განაცხადების მიღების ბოლო ვადა	22.05.17 17 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 17 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 17 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 17 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 17 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 17 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 17 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 17 საათი (ადგილ ობრივი დროით)
განაცხადების გახსნის ვადა	22.05.17 18 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 18 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 18 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 18 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 18 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 18 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 18 საათი (ადგილ ობრივი დროით)	22.05.17 18 საათი (ადგილ ობრივი დროით)

სალიცენზიო ბლოკზე შემოტანილი განაცხადები გაიხსნება საჯაროდ ზემოთ მითითებულ დროს, სახელმწიფო სააგენტოს ოფისში, მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი სანაპიროს ქუჩა №2.

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო სააგენტოს უფროსისადმი წერილობითი თხოვნის საფუძველზე დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საინფორმაციო პაკეტი სალიცენზიო ბლოკებისა და ტენდერის პირობების შესახებ. საინფორმაციო პაკეტის მიღება შესაძლებელია უფასოდ, ელექტრონული ვერსიის სახით CD -ზე ან/და მიაწვდის ელექტრონული საფოსტო ყუთის მისამართს, საიდანაც შესაძლებელი იქნება საინფორმაციო პაკეტის ჩამოტვირთვა. სააგენტო უზრუნველყოფს საინფორმაციო პაკეტის მომთხოვნი პირების კურიერით მომსახურებას, თუ მომთხოვნი პირი წინასწარ ან ადგილზევე გადაიხდის კურიერის მომსახურების საფასურს.

საინფორმაციო პაკეტი მოიცავს:

- ა) სალიცენზიო ფართობის ადგილმდებარეობასა და კოორდინატებს;
- ბ) ხელშეკრულების ნიმუშს თითოეული ბლოკისთვის;
- გ) მინიმალურ სავალდებულო ფინანსურ და ტექნიკურ მოთხოვნებს ყოველი ბლოკისთვის;
- დ) ლიცენზიის გაცემისა და ხელშეკრულების გაფორმების გრაფიკს;
- ე) განაცხადის შეტანის ინსტრუქციებს ტენდერში მონაწილეებისათვის, მონაწილეობის შენატანის ოდენობისა და მისი გადახდის ფორმის ჩათვლით.

წერილობითი მოთხოვნა უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქ. თბილისი 0105, სანაპიროს ქუჩა №2.

ტელ: (+995 32) 2253399; (+995 32) 2253302

ვებგვერდი: www.saog.gov.ge

ელ.ფოსტა: info@saog.gov.ge

საკონტაქტო პირები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად:

ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა მიქელაძე: v.mikeladze@saog.gov.ge; ტელ: +995 595 000 025

ნავთობისა და გაზის ხელშეკრულებების სამმართველოს უფროსი

დალი გაბელაია: d.gabelaia@saog.gov.ge; ტელ: +995 599 033 043

საქართველოს სალიცენზიო ბლოკები

